



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დია კარის სხდომის**

(ო ქ მ ო) №1

ქ. ბათუმი

2018 წლის 19 ოქტომბერი

11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ჯ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გოჩა მგელაძე

საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი პატარიძე

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ნაკაიძე

საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დიმიტრი ჭეიშვილი

საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ომარ მახარაძე

საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ნატალია ზოიძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ნატალია ძიძიგური

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;

დავით მახარაძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-

მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;

ელგუჯა ანდრიაძე

საკრებულოს წევრი;

ირაკლი მიქელაძე

საკრებულოს წევრი;

არჩილ მამულაძე

საკრებულოს წევრი;

თამაზ დევაძე

საკრებულოს წევრი;

მუხამედ ართმელაძე

საკრებულოს წევრი;

არ ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ლაშა სირაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბესარიონ გოგოტიშვილი

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

მირდატ ქამადაძე

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;

ნოდარ დუმბაძე

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი თოფურიძე

საკრებულოს წევრი;

რაულ თავართქილაძე

საკრებულოს წევრი;

როინ ზოიძე

საკრებულოს წევრი;

ლევან ანთაძე

საკრებულოს წევრი.

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თ. პეტრიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ს. მიქელაძე;

ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ უფროსის მ/შ - შ. ფხაკაძე;

ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს დირექტორი - ჯ. კობალაძე;

ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“

წარმომადგენლები: დ. კასრაძე, ჯ. დიასამიძე;

"დემოკრატიის ინსტიტუტის" აღმასრულებელი დირექტორი - ა. ხახუტაიშვილი;

ღია კარის სხდომაზე მომხსენებლები: მ. მედილიძი, გ. ვარშანიძე, ვ. ვადაჭკორია, ი. ჯინჭარაძე, ი. გოგსაძე, ნ. ბეჟანიძე, მ. კახიძე, ა. დავითაძე, ნ. რევიშვილი, ე. გურგენიძე, მ. ანანიძე, დ. თურმანიძე, შ. მიქაძე, ი. ცივაძე, ნ. ინაიშვილი, პ. ჯალათაშვილი, ნ. ლომაია, ნ. ჩხაიძე, თ. ფუტკარაძე, ნ. ირემაძე.

მომხსენებელთაგან სხდომაზე არ გამოცხადებულან: ი. ზოიძე, თ. დიასამიძე, ლ. მენადარიშვილი;

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ამომრჩევლებს, ბათუმის მოსახლეობას, განსაკუთრებით იმ პიროვნებებს, ვინც გამოთქვა სურვილი, რომ დღევანდელ ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა. მიესალმა მერიის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებს, მიულოცა დღევანდელ დღე, რამეთუ დღესაა გამორჩეული სხდომა, ჩვეულებრივი სხდომებისაგან განსხვავებული - ღია კარის სხდომა, რომელიც გულისხმობს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მოსმენას. საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით 7 დღით ადრე გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება „ღია კარის სხდომის“ ჩატარების თაობაზე, რომელიც საჯაროობის მიზნით გამოქვეყნდა საკრებულოს ვებ-გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე და ასევე მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით გამოქვეყნდა გაზეთ „ბათუმელების“ ელექტრონულ პორტალზე. „ღია კარის“ სხდომა არის თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი კომპონენტი, რომლის განხორციელებაში მონაწილეობას დებულობს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩევლები, რომლებმაც უნდა მიმართონ საკრებულოს აპარატს ღია კარის სხდომის გამართვამდე ორი დღით ადრე. საკრებულოში შემოსულია 24 განცხადება. სხდომაზე მონაწილეობის რიგითობა განისაზღვრება შემოტანილი განცხადებების რიგითობის მიხედვით. სხდომის წარმართვის ფორმატი არის მკაცრად განსაზღვრული საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე, კერძოდ, მოქალაქის მიერ დასმულ საკითხებზე დებატები არ იმართება. მოქალაქეებზე კითხვის დასმის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეს დაზუსტების მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ გუშინ გვიან გამოქვეყნდა ერთ-ერთ გაზეთში სტატია, სადაც წერს, რომ რეგლამენტის ეს დათქმა ზღუდავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიშვალდებულების და საქმიანობის პრინციპს მოსახლეობის წინაშე, რასაც იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ არ ეთანხმება. აღნიშნული სტატიის ბოლოს ჟურნალისტი სვამს კითხვას: თუ რატომ ამჯობინა საკრებულომ საკრებულოს რეგლამენტის დაცვა. სამწუხაროდ ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს, რადგან მისი საკრებულოს თავმჯდომარის დანიშვნის დღიდან ცდილობს და ყოველთვის იცდილებს, რომ მაქიმალურად დაიცვას საკრებულოს რეგლამენტი. რეგლამენტში რაიმე შენიშვნების გამოთქმისას მზადაა განიხილოს საკრებულოს შესაბამის კომისიებთან ერთად. დღეს არის მოქალაქეების მიერ მოსმენის დღე. სხდომის დამთავრების შემდეგ უახლოეს დღეებში გაიმართება საკრებულოს ბიუროს სხდომა, სადაც განხილული იქნება თითოეული საკითხი და ამ საკითხების გადამისამართება მოხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, ან შესაბამის საკრებულოს კომისიაში. საკითხები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კლასად, კერძოდ, საკითხები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერია რამდენიმე დღე-

ში გადაჭრის, საკითხები, რომელსაც სჭირდება ბიუჯეტირება, მიმდინარე წელს თუ ვერ მოხერხდება მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად გათვალისწინებული იქნება და ასევე საკითხები, რომელთა განხილვა უნდა იყოს საჯარო, ამიტომ მათი განხილვა კომისიების დასკვნის საფუძველზე მოხდება საკრებულოს სხდომაზე, სრული საჯარო დისკუსიისა და ყველა პრინციპების დაცვით. „ღია კარის“ სხდომაზე დასმული საკითხების მიმდინარეობის შესახებ გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მან დამსწრე-საზოგადოებას მოუწოდა, რომ რეგლამენტის თანახმად დღეს მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება თავისუფლად მოიტანონ ჩვენამდე მათი საცხოვრებელი უბნების პრობლემები. მომხსენებლებისთვის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია 5 წუთი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 1. მერაბ მედილიშის (პ/ნ: 61001021760; ტელ: 577-98-08-61, მცხ: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N107 გ, ბინა N26) განცხადება.

მომხსენებელმა ისუბრა ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ.N107 გ - ში მდებარე ეზოს კეთილმოწყობის, ცენტრალური საკანალიზაციო მილების შეცვლა/მიერთების, სარდაფის გაწმენდის, ასევე ეზოში საქანელას დამატებისა და ტრენაჟორების შეკეთების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 2. გიორგი ვარშანიძის (პ/ნ: 61006065221, ტელ: 558 43 54 54; მცხ: ქ. ბათუმი, ზედაღელის დასახლება N68) განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2016 წლის ნოემბრის თვეში მისი სახლის წინ ჩამოიშალა მიწა, რაც საფრთხეს უქმნის აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებელ სახლს. მიმართა თხოვნით მოქმედი პროექტის ფარგლებში საცხოვრებელ სახლთან არსებული მეწყერსაშიში მდგომარეობის მოწესრიგების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 3. ვაჟა ვადაჭკორიას (პ/ნ: 61003006673, ტელ: 597 24 44 24; მცხ: ქ. ბათუმი, ბაქოს ქ.N74, ბ.27) განცხადება.

მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ლიფტების შეცვლისათვის და სახურავის შეკეთებისათვის. მან აღნიშნა, რომ ყოფილი საზღვაო ბანკის შენობა შეიღობა, რის გამოც მოითხოვა საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული ბავშვთა ატრაქციონის ეზოში გადმოტანა, მაქაცარიის ქუჩის მხრიდან სატრანსპორტო რეგულაციის მოწესრიგება, გარე განათება და ტროტუარის მოწყობა. ასევე საჭიროა სტადიონთან სანიაღვრე არხის გაკეთება.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 4. იბრაიმ ჯინჭარაძის (პ/ნ: 61001052764, ტელ: 555 28 76 98; მცხ: ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ.N4) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ლადო ასათიანისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთაში განთავსებული (პლასტმასის) საწარმოდან გამონაბოლქვის, სუნის და მტვერის შედეგად გაუსაძლის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის მოწესრიგების თაობაზე .

მან აღნიშნა, რომ მათი ცხოვრება ქ. ბათუმის დასახლებულ ტერიტორიაზე დღითიდღე უარესდება. აწუხებთ ხმაური და მტვერი, რომელიც იწვევს ვ. ფშაველას ქუჩაზე განლაგებული საწყოები, საამქროები და მოძრავი ტრაილერები. რაც შეეხება ტრანსპორტს და ტრანსპორტირებას, აქ საკითხი ბევრად უფრო მწვავეა, ტრაილერებიდან სამშენებლო მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს, რომელიც თითქმის ყოველდღე ხორციელდება, პრაქტიკულად გადაკეტილია ქუჩა რამდენიმე საათით. პლასტმასის მილების საამქროს რაც შეეხება კატეგორიულად მიუღებელია. იხარშება მეორადი ცელოფნები და მზადდება სხვადასხვა სახის ეკოლოგიურად მავნე მასალისგან დამზადებული მილები.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 5. ირაკლი გოგსაძის (პ/ნ: 61001024423; ტელ: 574 87 72 81; მცხ: ქ. ბათუმი, გოგიტიძის ქ. N46) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე დაღუპული პოლიციელების მემორიალის განთავსების თაობაზე. ქალაქს ჰყავს 20-მდე სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელი. ესკიზს მხატვრებთან ერთად თვითონ დაამზადებენ, მაგრამ მისი თხოვნაა გოგებაშვილის ქუჩაზე განთავსება.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 6. ნაზი ბეჟანიძის (პ/ნ: 61002019381; ტელ: 568 71 33 73; მცხ: ქ. ბათუმი, ი.ჯავახიშვილის N78) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ჯავახიშვილის 78-ში მდებარე, მიშენების შედეგად გადახრილი კორპუსის სასწრაფოდ გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 7. მადონა კახიძის (პ/ნ: 61006025867; ტელ: 591 40 62 13; მცხ: ქ. ბათუმი, მეფე მირიანის ქ. მე-3 ჩიხი, N24) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში არსებული, მეფე მირიანის ქუჩის, აფსაროსის მე-2 შესახვევის და მატათა მოციქულის ქუჩის კეთილმოწყობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ყველაზე მტკივნეული პრობლემაა გზების გაუმართაობა. ამ გზებზე გავლა შეუძლებელია, დგება წყლები, რადგან არ არის სანიაღვრე არხები. ავგის ქუჩაზე სანიაღვრე არხების არქონის გამო მწყობრიდან გამოვიდა სავალი ნაწილის კიდეები და გაძნელებულია ავტომობილების მოძრაობა. საჭიროა ქვიშის დაყრა და გასწორება. ავგის დაწყებითი სკოლის მოპირდაპირედ და ავგის №50-ში საჭიროა სანიაღვრე არხებში 1 მეტრი დიამეტრის მილების ჩადება, რადგან ხშირია ამ არხებში ავტომობილების ჩავარდნა. ასევე ამ ქუჩაზე არ არის გარე განათება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ახალსოფლის ცენტრში, სადაც წვიმის დროს სანიაღვრე არხის არქონის გამო წყალდიდობაა, გაფუჭებულია გზის საფარი. მირიან მეფის ქუჩაზე მოსახლეობის თხოვნაა განთავსდეს ბავშვთა ატრაქციონები და ტრენაჟორები. ანდრია პირველწოდებულის ქუჩის №2-დან №22-მდე ტროტუარი მოსაწყობია, რომელიც გზის სავალი ნაწილისგან გამოყოფილი უნდა იყოს. მოსახლეობა ითხოვს პოლიგონის ტერიტორიაზე სამშენებლო პროცესების დაწყებამდე ნადირობის დროებით დაშვებას. ასევე ისაუბრა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიების ჩატარებაზე და გონიოკვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყალის პრობლემის თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 8. ალექსანდრე დავითაძის (პ/ნ: 61003001729; ტელ: 593 21 78 32
მცხ: ქ. ბათუმი, გოროდოკი, სვიშევსკის ქ.N230) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა სვიშევსკის ქ.N230-ში მდებარე ეზოში ასფალტის საფარის, გარე განათების მოწყობის, სანიაღვრე არხებისა და სახურავზე ე.წ.ჟოლუბის გაკეთების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 9. ნინო რევიშვილის (პ/ნ: 61001060222; ტელ: 577 40 06 66
მცხ: ქ. ბათუმი, ბ.ნ.ქ. სახლი 26/54) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა თამარის დასახლებაში არსებულ სარკინიგზო-სამანქანე გადასასვლელზე კაუჩუკის საფარის მოწყობისა და საფეხმავლო გადასასვლელების დამონტაჟების თაობაზე. ე.წ. ბენზეს ტერიტორიაზე გადასასვლელი ამორტიზირებულია. სახურავებზე წყალგამტარი მილები გამოსულია მწყობრიდან. ასევე მოითხოვა თამარის დასახლებაში ქვაფენილის ამოღება და ასფალტის საფარის დაგება. მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტს საკანალიზაციო მილების გაკეთებისათვის და საბავშვო ბაღის აშენებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საფერხმალო გადასასვლელს რკინიგზის დეპარტამენტის ნებართვა სჭირდება.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 10. ელენა გურგენიძის (პ/ნ: 61006024985; ტელ: 555 95 63 51
მცხ: ქ. ბათუმი, ი.გაგარინის ქ.N42) განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლეონიძის ქუჩაზე მიმდინარე სპორტ კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. მათი თხოვნაა მომავალი წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრობლემის გათვალისწინება. გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩიდან ს.ს ორბელიანის ქუჩაზე გასასვლელი საცალფეხო გზის პრობლემაა, ეს გზა მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის, რადგანაც ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების საშუალებაა.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 11. მანანა ანანიძის (პ/ნ: 61001069432; ტელ: 555 52 33 59
მცხ: ქ. ბათუმი, ნ.დუმბაძის ქ.N12) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩაზე შემომავალი ავტომანქანების მოძრაობის დარეგულირების მიზნით დაზიანებული ბარიერის აღდგენის თაობაზე. აღნიშნულ ქუჩაზე ჩერდება მანქანები, რის გამოც უჭირს სასწრაფო-სამედიცინო მანქანას შემოსვლა.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 12. დავით თურმანიძის (პ/ნ: 61001034161, ტელ: 557 93 63 20;
მცხ: ქ. ბათუმი, გ.მაზნიაშვილის ქ.N10) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ. N10-ში მდებარე ეზოში დაზიანებული და ამორტიზირებული ხის შუშაბანდის მოწესრიგების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 13. ავთანდილ მიქელაძის (პ/ნ: 61006011155; ტელ: 577 53 50 29
მცხ: ქ. ბათუმი, ფრ.ხალვაშის 328, ბ.5) განცხადება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავთანდილ მიქელაძემ ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება და მის საკითხს წარმოადგენს საკრებულოს წევრი ანზორ დევაძე.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმი, ფრ. ხალვაშის №328-ში, პირველ სადარბაზოში, ლიფტთან მისასვლელი პანდუსის დამონტაჟების თაობაზე, რადგან ა. მიქელაძე ამ სახლში ცხოვრობს და საჭიროებს პანდუსს. ასეთივე მდგომარეობაა შანიძის №262 ნომერში, ცხოვრობს ბავშვობიდან ინვალიდი, რომელიც საჭიროებს ლიფტთან მისასვლელ პანდუსს.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 14. შორენა მიქაძის (პ/ნ: 61001022150; ტელ: 593 88 31 31
მცხ: ქ. ბათუმი, ბესიკის ქ.N42) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, ბესიკის ქ.N42-ში მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სადარბაზოში დამონტაჟებისა და ეზოში ბავშვთა ატრაქციონების მოწყობის თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 15. ინდირა ცივაძის (პ/ნ: 61001037273; ტელ: 592 11 23 07
მცხ: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.N3, ბ.N8) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ.N3-ში მდებარე ეზოში ავარიულ მდგომარეობაში საკანალიზაციო ჭის, ეზოს შლაგბაუმისა და განათების მოწყობის თაობაზე. ასევე სადამოობით უსახლკაროების პრობლემაა, სადარბაზოებში ათენებენ ღამეს.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 16. ნინო ინაიშვილის (პ/ნ: 01008008778; ტელ: 577 41 85 25;
მცხ: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N56, ბ.N43)
განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა ქალაქის ქაოსური ურბანული განაშენიანების რეგულაციების შემოღებისა და ისტორიული ზონის საზღვრების თაობაზე. რივიერას თემა მტკივნეულად აღიქმება მოსახლეობაში. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №69 განკარგულების საფუძველზე მიმდინარეობს მუშობა ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიისთვის განაშენიანების გენერალური გეგმის გეგმარებით დავალებაზე. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოება უნდა შეჩერდეს, რადგან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების პროცესი, სადაც აღნიშნული ტერიტორია არის სადაო. იქედან გამომდინარე საპროექტო ტერიტორია მოხდება თუ არა ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში მნიშვნელოვნად იცვლება ქალაქის მშენებლობითი პარამეტრები, სიმაღლე,

სტრუქტურა და.ა.შ. ამასთან თუ ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონები დამტკიცდება იმ სახით, როგორც ის იყო წარდგენილი საჯარო განხილვებზე და რაც წარმოადგინა კონტრაქტორმა კომპანიამ „გეოგრაფიკმა“, მაშინ ამ ტერიტორიაზე ამ წესებთან შეუსაბამო დავალების გაცემა შესაძლოა ამოვარდნილი იყოს კონტექსტიდან. ეს თავის მხრივ ზიანს მიაყენებს მესაკუთრეს და იგი უფლებამოსილი გახდება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც მნიშვნელოვნად აისახება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტზე. ასევე მაღლია საზოგადოების ინტერესი და მიმართა თხოვნით უზრუნველყონ ჩართულობის მაღალი სტანდარტი და მხოლოდ ვებ-გვერდზე თუ გაზეთ „აქარაში“ გამოქვეყნებით არ შემოიფარგლოს. ამისთვის თხოვნაა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაერთონ დაინტერესებულ ორგანიზაციები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და ადგილობრივი მოსახლეობა.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 17. პალინა ჯალათაშვილის (პ/ნ: 01013023616; ტელ: 555 18 28 18 მცხ: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ.N42) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ბათუმში მცხოვრები სმენის არმქონე ბავშვების, ზრდასრულების გარემოს ხელმისაწვდომობისა და სოციალურ სერვისებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა სმენადაქვეითებული ადამიანის პრობლემებზე. ქალაქში პრობლემაა, იბადებიან და იზრდებიან სმენის არმქონე ბავშვები, რომლებსაც მხოლოდ სოციალური და სამედიცინო დახმარების ამარა არიან. მათი საზოგადოებაში ინტეგრირება რეალურად არ ხდება. არ ზრუნავს შესაბამისი უწყებები და არ ხდება მათი მხარდაჭერა. საჭიროა კომუნიკაცია ჟესტურ ენაზე, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან. ჟესტური ენის შემსწავლელთა მოთხოვნა ბევრია, მაგრამ რესურსი არ გააჩნიათ, მან თხოვნით მიმართა 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ჟესტური ენის შემსწავლელი სკოლა. საქართველოში მხოლოდ ორი სკოლაა ქუთაისში და თბილისში სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის. სკოლაში ჩაკეტილი სივრცეა, ეს დიდი პრობლემაა, რადგან მათი საზოგადოებაში ინტეგრირება არ ხდება და არიან მარტონი. დღეს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი ბავშვების ჩვეულებრივ სკოლაში სწავლა, მაგრამ ასეთმა ბავშვებმა პირველ რიგში უნდა ისწავლონ ჟესტური ენა. რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, როგორცაა სპექტაკლი, კინო და ზოგადად სულიერი განვითარება რეალურად არ არსებობს მსგავსი განვითარება. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აწვდის სხვადასხვა ტიპის ბავშვებს ვაუჩერებს, სასურველია ეს ვაუჩერები ინდივიდუალურად შეეძლოს მორგება მოთხოვნიდან გამომდინარე. მას სურს მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამულად გათვალისწინებული იქნას ჟესტური ენის შემსწავლელთა კურსები.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 18. ნინო ლომაიას (პ/ნ: 39001042635; ტელ: 574 25 25 64; მცხ: ქ. ბათუმი, ლევან გოთუას პირველი ჩიხი, ბ.N5) განცხადება.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. ბათუმში, სამრეწველო უბანში არსებული პრობლემებისა და ბათუმის მუნიციპალიტეტში სკვერების, პარკების სიმცირის თაობაზე. მოუწესრიგებელია და სარეაბილიტაციოა ქუჩები, რომელიც უშუალოდ კავშირშია სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებასთან. ასევე გასაახლებელია საგზაო ნიშნები და ზებრა გადასასვლელები, ამ უბანში საცხოვრებელი ბინების წინ სკვერები მოუვლელია და არ არის გამწვანება.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

19. ნინო ჩხაიძის (პ/ნ: 26001033199; ტელ: 555 12 10 91;

მცხ: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N92) განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძველი ბათუმის ტერიტორიულ ერთეულში პარკირების პრობლემაა. პირველ რიგში დასაწყესებელია კონტროლი. ბათუმობის დღესასწაულზე ავტომობილებისგან იყო თავისუფალი ქუჩები და მოხარული იქნება თუ ბათუმის საკრებულო ძველ ბათუმში აკრძალავს პარკირებას. ასევე ისაუბრა ბათუმის მუნიციპალიტეტში ველოტრანსპორტის განვითარებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების აუცილებლობის თაობაზე. მუნიციპალურ პროგრამებში ახალგაზრდული კუთხით ინოვაციების სიმცირის პრობლემაა, იგივე პროგრამებია და სიახლეები არ ჩანს. პროგრამით გაწერილი უნდა იყოს ახალგაზრდული სტრატეგია, რომელიც ადგილობრივ ახალგაზრდებთან აქტიური კონსულტაციით და რეალური გამოკვლევების საფუძველზე იქნება შედგენილი. ამ კუთხით მას აქვს ინიციატივა ევროპის ახალგაზრდულ დედაქალაქთან დაკავშირებით, რომელსაც არაერთი წამყვანი ევროპული ქალაქი ამ კონკურსში ღებულობს მონაწილეობას და ამ კუთხით ახალგაზრდული ორგანიზაცია ვერაფერს ვერ გააწყო, იმიტომ რომ წარმდგენი უნდა იყოს მუნიციპალიტეტი. მთელი წლის განმავლობაში ბათუმი იქნება დატვირთული ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდების მიერ განხორციელებული აქტივობებით. თხოვნა აქვს მერიის მიერ შესწავლილი იქნას წამოჭრილი საკითხი. თვითონაც მზადაა ჩაერთოს ამ პროცესში და ითხოვა, რომ საკრებულომ დაავალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ბიუჯეტის განხილვისას მოახდინოს კონკრეტიზაცია პროგრამებთან მიმართებაში.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

20. თამარ ფუტყარაძის (პ/ნ: 610010004271; ტელ: 591 71 90 02

მცხ: ქ. ბათუმი, ნევრესტან შაშიკაშვილის ქ. N58) განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. ბათუმში, მეჯინისწყლის უბანში, ნ. შაშიკაშვილის, ფ. ხალვაშის ქუჩებსა და აეროპორტის გზატკეცილზე არ არის მოწესრიგებული კანალიზაცია. მოსახლეობის მიერ თვითნებურად დამონტაჟების გამო აუტანელი სუნია. ბავშვებისთვის არ არის გასართობი საშუალება, ატრაქციონები. ასევე მოსაცდელები, სანიაღვრე არხები, წვიმიან ამინდში მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაშია. არ არის ასფალტი, ჭირს ტრანსპორტირება. მეჯინისწყლის დასახლებაში დაფიქსირებულია სასკოლო ასაკის 500 და სკოლამდელი 100 ბავშვი. 22-ე და 25-ე საჯარო სკოლებში შეზღუდულია ბავშვების მიღება არასაკმარისი ფართის გამო. ასევე მოითხოვა საბავშვო ბაღის გახსნა, ასფალტის საფარის დაგება, გარე განათება, ატრაქციონები, მოსაცდელები, სანიაღვრე არხებისა და წყალკანალის გაყვანილობის მოწესრიგება.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

21. ნოდარ ირემაძის (პ/ნ: 61001023316, ტელ: 558 71 56 67

მცხ: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N94, ბ. N26) განცხადება.

მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N94-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში სადარბაზოებში რკინის კარის ჩასმის, ლიფტების გარემონტების, ლიფტების სახურავის შეკეთების და დაზიანებული ატრაქციონების მოწესრიგების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე-საზოგადოებას, მოსახლეობას აქტიური მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ ამომრჩევლების მიერ წარმოდგენილი პრობლემები განხილულ იქნება და არგუმენტირებული პასუხები წერილობით ეცნობებათ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

მ. თურმანიძე

საკრებულოს აპარატის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი.

ოქმიშეადგინა:

მ. წულუკიძე

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

